

**სავარაუდოდ პოლიტიკურად
მოტივირებულ საქმეებზე გამოყენებული
შენწყალების და ამნისტიის აქტები**

სამართლებრივი ანალიზი

2023

ადამიანის უფლებათა ცენტრი



ავტორი: გიორგი ტყეშელაშვილი

რედაქტირება: გიორგი კაკუბავა, ალექსო ციციშვილი



ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი.....	4
მეთოდოლოგია	5
შეწყალების მექანიზმი	6
მონიტორინგის ქვეშ არსებული სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც შეწყალება განხორციელდა	10
1) გიორგი უგულავას საქმე.	10
2) ირაკლი ოქრუაშვილის...საქმე.....	10
3) გიორგი რურუას საქმე.	11
ამნისთია	13
19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული „ამნისთიის შესახებ“ კანონი და პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები.....	16
დასკვნა.....	20

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს, შეაფასოს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე განხორციელებული შეწყალებისა და ამნისტიის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. ამასთან, გამოკვეთოს ის ტენდენციები, რაც დოკუმენტში განხილულ საქმეებში სავარაუდოდ პოლიტიკურ მოტივაციასა და შერჩევით მართლმსაჯულებაზე მიანიშნებს.

წინა ხელისუფლების ყოფილი მატალჩინოსნების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების მიმართ დამკვირვებელი ორგანიზაციების ინტერესი კვლავ გაიზარდა ბოლო წლებში¹, როდესაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ განაახლა შეჩერებული თუ შეფერხებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება და ზოგიერთი საქმე გადასცა სასამართლოს განსახილველად. გარდა ამისა, გამოძიება დაიწყო 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების მონაწილე აქტივისტების, პოლიტიკური ლიდერებისა თუ მედიაორგანიზაციების წარმომადგენლების წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა ცენტრი წლებია, ყურადღებას ამახვილებს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში პოლიტიკური ლიდერების, სამოქალაქო აქტივისტებისა თუ მედიაორგანიზაციების წარმომადგენლების მიცემა, რიგ შემთხვევებში, ბაღებს არცთუ უსაფუძვლო ეჭვებს პოლიტიკური მოტივების არსებობის შესახებ, როგორც ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში, ისე საერთაშორისო პარტნიორებში. პოლიტიკური მოტივაციის არსებობის შემთხვევებში, არასამართლიანი სამართალწარმოების აღბათობა გაცილებით ღიძია, რითაც შესაძლოა, უხეშად დაირღვეს როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები².

სასამართლო მონიტორინგისა და კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების მასალების შესწავლით გამოვლინდა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ არსებულ საქმეებში, რიგ შემთხვევებში, არ იყო სრულყოფილად უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლება. სასამართლო განხილვებისას გამოვლენილი ხარვეზები შესაძლოა, აშკარად არ არღვევდნენ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეული ინდივიდუალური შემთხვევების, ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზების, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებებისა და ზოგადად პრობლემური სასამართლო პრაქტიკის კომბინაცია, ამასთან - შერჩევითი სამართლისა და სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივების არსებობა, საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

რაც შეეხება მასშტაბურ ამნისტიას, ადამიანის უფლებათა ცენტრი განმარტავდა, რომ დაუშვებელი იყო ამნისტიის გამოყენება სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ ჩადენილ

¹Fidh-ის წარმომადგენლები ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესს დააკვირდებიან: <https://bit.ly/3W6AmuR>

²გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“. ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ. :<https://bit.ly/33SghZx>

დანაშაულებთან მიმართებით, რასაც ადგილი ჰქონდა 20-21 ივნისის აქციის დაშლის დროს³.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, ამნისტიის გამოყენება იმ პირებთან მიმართებით, რომლებმაც არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დანაშაულები ჩაიდინეს (იმის მიუხედავად, ეროვნულ დონეზე გამოძიება სწორი კვალიფიკაციით მიმდინარეობს თუ არა), ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს ეწინააღმდეგება. ასეთი შედეგი არასათანადო მოპყრობის აკრძალვით შექმნილ დაცვის გარანტიებს ილუზორულად აქცევს. შესაბამისად, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში სახელმწიფოს წარმომადგენელ პასუხისმგებელ პირთა მიმართ ამნისტიის გამოყენება, არის საერთაშორისო სამართლის დარღვევა⁴.

მეთოდოლოგია

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი ხორციელდება ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიზანია, მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შესაძლო ხარვეზების, ასევე - ხელისუფლების სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება და ანალიზი.

სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს 2 იურისტ-მონიტორი, რომელთაც გაიარეს სპეციალური ტრენინგი სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ. მონიტორინგის სწორად წარმართვისათვის საწყის ეტაპზე შემუშავდა სპეციალური კითხვარი სასამართლო მონიტორინგისათვის. იურისტ-მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ ამუშავებენ სასამართლო სხდომებიდან მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც იურისტ-ანალიტიკოსი აანალიზებს და შესაბამისი ანგარიშებისთვის იყენებს.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობისა და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას.

ჩაურევლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებთან ერთად, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის სათანადოდ გათვალისწინების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და საზოგადოებისთვის.

³ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის პრეს-რელიზი „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები - პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია -ადამიანის უფლებათა ცენტრის ანალიტიკური დოკუმენტი“, 19.06.2021, <http://www.hrc.ge/220/geo/> [ნანახია - 06.02.2023];

⁴ იხ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, „დაუშვებელია ამნისტიის გავრცელება 2019 წლის 20-21 ივნისის სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე“, 21.04.2021, <http://bit.ly/3JL1xYs>, [ნანახია - 06.02.2023];

შეწყალების მექანიზმი

სისხლის სამართლის საქმეებზე შეწყალების შესაძლებლობას მსოფლიოში არსებული სამართლებრივი სისტემების აბსოლუტური უმრავლესობა ითვალისწინებს⁵. შეწყალება, თავისი არსით, არის ჰუმანური აქტი⁶ და როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ამა თუ იმ პირის მიმართ ხისტი და მოუქნელი კანონმდებლობის გამოყენება იწვევს უსამართლობის განცდას⁷. შეწყალება არის მექანიზმი, რითაც აღჭურვილია აღმასრულებელი ხელისუფლება, შესაბამისად, იგი აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა⁸. იგი გამოიყენება ერთპიროვნულად ხელისუფალის (სუვერენის, მონარქის, პრეზიდენტის) ან კოლეგიური ორგანოს მიერ, რომელიც ექვემდებარება აღმასრულებელ ხელისუფლებას. ამასთანავე, შეწყალება ხორციელდება კონკრეტული ინდივიდის მიმართ და ამ მექანიზმის გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც თავად სამართალდამრღვევი, ასევე ქმედება (სამართალდარღვევა)⁹. შეწყალების თანამედროვე ცნების ქვეშ მოიაზრება აქტი ან/და ქმედება, რომელიც ითვალისწინებს:

- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებას;
- სასჯელის გადავადებას ან შეჩერებას;
- კონკრეტული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლას;
- ნასამართლობის და მისი თანმდევი შეზღუდვებისგან სრულად გათავისუფლებას¹⁰.

საქართველოში, შეწყალების ინსტიტუტი პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფო მეთაურის, ექსკლუზიური კონსტიტუციური პრეროგატივაა. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ „საქართველოს პრეზიდენტი შეიწყალებს მსჯავრდებულებს“¹¹.

საქართველოს პრეზიდენტის ეს უფლებამოსილება პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლი ადგენს, რომ „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობის და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი“¹². შეწყალების ინსტიტუტი ქვეყნის სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურად გატარებასაც ემსახურება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, შეწყალებას ახორციელებს

⁵ The pardon: politics or mercy?, International Bar Association - the global voice of the legal profession. <https://bit.ly/3Dwe7aa>

⁶ Pardons and Reprieves, Justia US Law. <https://bit.ly/3TRog6Q>

⁷ შეწყალების უფლებამოსილება, ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ; 2016, გვ. 6. <https://bit.ly/3DvWqaN>

⁸ Presidential Pardons: Overview and Selected Legal Issues, Michael A. Foster Legislative Attorney January 14, 2020, გვ.1. <https://bit.ly/3gKcbIP>

⁹ შეწყალების უფლებამოსილება, ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2016, გვ. 6. <https://bit.ly/3DvWqaN>

¹⁰ შეწყალების უფლებამოსილება, ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ; 2016, გვ.6. <https://bit.ly/3DvWqaN>

¹¹ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი. <https://bit.ly/3U00Yff>

¹² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 49(1).

საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესით¹³. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით¹⁴. სასჯელმოხდელს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა¹⁵.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁶ მე-11 მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებას გამოსცემს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მის საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, შეწყალების ექსკლუზიური კომპეტენციის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ბრძანებულებით, თავად განისაზღვრავს მსჯავრდებულთა შეწყალების წესსა და პირობებს, შეწყალების კომისიის შემადგენლობას, რაც სრულად შეესაბამება ქვეყნის უზენაესი კანონის მოთხოვნებს. პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ შეწყალების აქტს საფუძვლად ჰუმანიზმის პრინციპები უდევს, რომელთა ერთობლიობაც სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

2019 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა N556 ბრძანებულებით¹⁷ შეწყალების ახალი წესი დაამტკიცა. შეწყალების ახალი წესი ძველი პროცედურისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ეს დებულება შეიცავს რეგულირებებს მსჯავრდებულისა და იმ სასჯელმოხდელი პირის შეწყალების შესახებ, რომელმაც მოიხდა სასჯელი და არ აქვს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა. ბრძანებულება აყალიბებს იმ ძირითად პირობებსა და წესებს, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კონსტიტუციური კომპეტენციის პრაქტიკაში მოქმედება. ამავე ბრძანებულებით გათვალისწინებულია ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს შეწყალების მოთხოვნილი პირი და რა წესითაც უნდა გადაწყდეს შეწყალების საკითხი.

ბრძანებულების თანახმად, შეწყალება არის საქართველოს პრეზიდენტისათვის საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომელიც, როგორც წესი, გამოიყენება გამონაკლისის სახით. საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენება ეფუძნება ჰუმანიზმის პრინციპს, ასევე - სახელმწიფო ინტერესს¹⁸. ამასთან, პრეზიდენტისთვის მსჯავრდებულის შეწყალების საქმეს განსახილველად შეწყალების კომისიის ნაცვლად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური მოამზადებს. სწორედ ეს სამსახურია უფლებამოსილი

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 78(1).

¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 78(2).

¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 78(3).

¹⁶ ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 11(1).

¹⁷ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №556 შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ, 2019 წლის 26 ნოემბერი, ქ. თბილისი. <https://bit.ly/3TBXcsB>

¹⁸ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №556 შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ, 2019 წლის 26 ნოემბერი, ქ. თბილისი. <https://bit.ly/3TBXcsB>

პრეზიდენტს წარუდგინოს:

- იმ მსჯავრდებულის საქმე, რომელიც სასჯელს იხდის უვადო თავისუფლების აღკვეთისა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით;
- იმ მსჯავრდებულის საქმე, რომელიც სასჯელს იხდის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით და სასჯელის ნაწილი ჩათვლილი აქვს პირობით მსჯავრად;
- ინფორმაცია იმ მსჯავრდებულთა შესახებ, რომლებიც პრეზიდენტისათვის სამსახურის მიერ განსახილველად წარდგენას არ ექვემდებარებიან.

აღსანიშნია, რომ სამსახურს არ შეუძლია პრეზიდენტს მიმართოს სასჯელმოხდელი პირისთვის ნასამართლობის მოხსნის თაობაზე, მაგრამ პრეზიდენტს ეს პრეროგატივა კვლავ აქვს. პრეზიდენტს ისევ შეუძლია, შეწყალების თხოვნის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, ან ამ მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე. წესის მიხედვით, პრეზიდენტს არ წარუდგინება იმ მსჯავრდებულთა საქმეები, ვინც:

- მსჯავრდებულია ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენისათვის და მოხდელი არა აქვს თავისუფლების აღკვეთის ვადის ნახევარი;
- რომელიც სასჯელს იხდის პირობითი მსჯავრდებისას სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩადენილი განზრახი დანაშაულისათვის და მოხდელი არა აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი;
- რომელიც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა პირობით ვადამდე და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და მოხდელი არა აქვს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი;
- რომლის საქმის განხილვა არ არის დასრულებული საქართველოს სამივე ინსტანციის საერთო სასამართლოში ან თუ არ არის გასული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი ვადა ;
- რომელიც არ ითხოვს შეწყალებას.

ახალი წესი ასევე ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

- უვადოდ თავისუფლებადაკვეთილი მსჯავრდებულის ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადა გაიზარდა 15 წლიდან 20 წლამდე;
- ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადა გაიზარდა სასჯელის 1/2-დან 2/3-მდე იმ მსჯავრდებულთათვის, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამო, ან ვინც მსჯავრდებულები იყვნენ წინათ და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული;
- იმ მსჯავრდებულთა ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადა, ვისაც დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა არაუმეტეს 5 წლის ვადით, შემცირდა დანიშნული სასჯელის 1/3-დან 1/4-მდე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ძველი წესისგან განსხვავებით, სასჯელის მოხდის ადგილის უარყოფითი დახასიათება შეწყალების საკითხის გამომრიცხველ გარემოებას

არ წარმოადგენს¹⁹.

ახალი წესის თანახმად, შეწყალების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, პრეზიდენტი, საჭიროების შემთხვევაში, გაივლის კონსულტაციას შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა ან/და დარგის სპეციალისტებთან. შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პრეზიდენტი, კლასიკური გარემოებების გარდა (დანაშაულის მიზანი, მოტივი, შედეგი და ა.შ.) ითვალისწინებს ისეთ გარემოებებსაც, როგორიცაა: ჩადენილი არასათანადო მოპყრობა, ოჯახური დანაშაული, ოჯახში ძალადობა, აგრეთვე, დანაშაული შშმპ, ბავშვის ან სხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლის მიმართ; დანაშაული პოლიციელის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ან პროცესის მონაწილის მიმართ, დაკავშირებული მათ მიერ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან; დანაშაული ჩადენილი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 ან მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის გამო.

ახალი წესის თანახმად, პრეზიდენტის მიერ შეწყალების თაობაზე განკარგულების გამოუცემლობა ჩაითვლება პირის შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად²⁰. აღნიშნული ინფორმაცია გაეგზავნება პენიტენციურ სამსახურს, რომელიც გადაწყვეტილებას მსჯავრდებულს აცნობებს²¹. შეწყალების საქმე პრეზიდენტს ხელახლა შეიძლება წარედგინოს გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ²².

აღსანიშნავია, რომ შარლ მიშელის შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა გიორგი რურუა და ირაკლი ოქრუაშვილი, რომელთა საქმეები ამავე შეთანხმების საფუძველზე პოლიტიკურ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხად იყო მიჩნეული. ამასთან, ამ პირებს პრეზიდენტისათვის არ მიუმართავთ შეწყალებისათვის და საქართველოს პრეზიდენტს №556 შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანებულების საფუძველზე არ ჰქონდა უფლებამოსილება ამ პირების მიმართვის გარეშე მიეღო შეწყალების შესახებ გადაწყვეტილება.

მონიტორინგის ქვეშ არსებული სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც შეწყალება განხორციელდა

1) გიორგი უგულავას საქმე (ე.წ. თბილისის განვითარების ფონდის საქმე). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თბილისის ყოფილი მერი, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი უგულავა დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და

¹⁹ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №556 შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 2(4). <https://bit.ly/3TBXcsB>

²⁰ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №556 შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 6(5). <https://bit.ly/3TBXcsB>

²¹ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №556 შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 8(2). <https://bit.ly/3TBXcsB>

²² საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №556 შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 7. <https://bit.ly/3TBXcsB>

„ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანამაულისთვის, რაც გულისხმობს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისებას ან გაფლანგვას. უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის ამ განაჩენით, გიორგი უგულავას 3 წლით, 2 თვით და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი საპატიმროდან 2020 წლის 15 მაისს საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე გათავისუფლდა. უზენაეს სასამართლოში გიორგი უგულავას საქმე ყოფილი გენერალური პროკურორის, მალვა თაღუმაძის თავმჯდომარეობით განიხილებოდა.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“²³.

2) ირაკლი ოქრუაშვილის საქმე. პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერს, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარედგინა 2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე, სსკ-ის 225-ე მუხლით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას. 2020 წლის 13 აპრილის განაჩენით მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა დანამაულში მონაწილეობის ბრალდებით. პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე ოქრუაშვილმა, ისევე, როგორც გიორგი უგულავამ, პენიტენციური დაწესებულება 2020 წლის 15 მაისს დატოვა.

შეწყალების მიუხედავად, ოქრუაშვილმა განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვეფხვია ლომიძემ პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში დატოვა.

2022 წლის 18 აპრილს, ირაკლი ოქრუაშვილმა, საკუთარ ფეისბუქ გვერდზე²⁴ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 აპრილის გამამტყუნებელი განაჩენი და მას 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. იგი სასამართლო პროცესს არ დასწრებია, ვინაიდან, იმ დროისათვის, უკრაინაში, რუსეთის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა. დაცვის მხარის განცხადებით, სააპელაციო სასამართლო სრულად იზიარებს და იმეორებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 აპრილის გამამტყუნებელ განაჩენში განვითარებულ მსჯელობას და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საეჭვო საფუძვლებს. დაცვის მხარე არ ეთანხმება პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და, ამჯერად, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ გამამტყუნებელ განაჩენს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ასაჩივრებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ამ საქმეზე ვრცელი სამართლებრივი შეფასება მოამზადა ანალიტიკურ დოკუმენტში: „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“²⁵.

²³ გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/33SghZx>.

²⁴ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3zsKTre>

²⁵ ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 წელი. <https://bit.ly/31NEpka>

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეში არაერთი სამართლებრივი პრობლემა გამოიკვეთა. გამამტყუნებელი განაჩენი დაეყრდნო მხოლოდ 4 პოლიციელი მოწმის ჩვენებას. ნეიტრალური მტკიცებულებების სახით კი, სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი იყო ტელეკომპანიებიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერები და სამართლებრივად პრობლემური ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები. სასამართლომ გვერდი აუარა ნორმის თავისებურებას და დანაშაულებრივი ქმედების ინდივიდუალური ნიშნების იდენტიფიცირებისა და შეფასების გარეშე, ბრალდებულის ქმედება ძალადობად დააკვალიფიცირა, როცა სსკ-ის 225-ე მუხლის მიზნებისთვის „ძალადობა“ უფრო მეტი ინტენსივობის ფიზიკურ ზემოქმედებად უნდა განიმარტოს, ვიდრე სხვა ჩვეულებრივ პირობებში.

ამასთან, იმ უამრავი ადამიანიდან, ვისთან ერთადაც ირაკლი ოქრუაშვილი „ჯგუფურ ძალადობაში“ მონაწილეობდა, სამართალდამცავებმა მხოლოდ ოქრუაშვილი შეარჩიეს ბრალდებულად და დააკავეს. შესაბამისად, მხოლოდ მის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუხედავად იმისა, რომ მის გარშემო მყოფი აქციის სხვა მონაწილეების იდენტიფიცირებაც შესაძლებელი იყო. მსგავსი მიდგომით ირაკლი ოქრუაშვილის სისხლის სამართლის წესით დევნა, შეიძლება, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციადაც შეფასდეს. ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, სავარაუდო პოლიტიკური მოტივით, დააკავეს მისი პირადი მძღოლი და ოჯახის ახლობელი, კობა კოშაძე.

3) გიორგი რურუას საქმე. „მთავარი არხის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს და მეწილეს, 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის საპროტესტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს და მონაწილეს, გიორგი რურუას ბრალად დაედო დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება); მას ასევე ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას. 2020 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა გიორგი რურუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მას სასჯელის სახედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასამართლომ რურუა დამნაშავედ ცნო ორივე ბრალდებაში.

საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე, 2021 წლის 27 აპრილს, მსჯავრდებულმა დატოვა პენიტენციური დაწესებულება²⁶. პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებას (ე.წ. შარლ მიშელის დოკუმენტს) ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს, რომლის თანახმად, გიორგი რურუას მიმართ უნდა ყოფილიყო გამოყენებული გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმი. ამ შეთანხმებამდე, 2021 წლის 31 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ გიორგი რურუას არ შეიწყალებდა, რის მოტივადაც მიუთითა, რომ „საზოგადოებამ მასზე კარგად იცოდა, თუ

²⁶ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2VHvnGE>

რატომ არ მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას²⁷.

საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის მიუხედავად, დაცვის მხარემ განაჩენი ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა. 2023 წლის თებერვლის მონაცემებით, დაცვის მხარის განმარტებით, 1 წელზე მეტია, რაც ეს სისხლის სამართლის საქმე გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ სხდომები ჯერ კიდევ არ ჩანიშნულა. ამასთან, დაცვის მხარეს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებასთან დაკავშირებით მიმართვის არაერთი წერილი აქვს გაგზავნილი.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი“²⁸. ამ საქმეში არაერთი მატერიალური და პროცესუალური დარღვევაა იდენტიფიცირებული.

როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის საფუძველზე შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან/და მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით²⁹. თუმცა, შეწყალება მსჯავრდებულ პირს არ უზღუდავს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას და აძლევს შესაძლებლობას, მიმართოს ზემდგომ სასამართლოს საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლის თანახმად, რომლითაც განაჩენის გამოცხადება რეგულირდება, სხდომის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესსა და ვადებს. მსჯავრდებულს განემარტება შეწყალების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლებაც³⁰.

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე, როდესაც მსჯავრდებულები არ აღიარებენ დანაშაულს და არ მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით, ნათლად გამოკვეთილია ტენდენცია, რომ შეწყალებული მსჯავრდებულები იყენებენ გასაჩივრების უფლებას და აგრძელებენ დავას ზემდგომ ინსტანციებში თავიანთი უფლებების დასაცავად. დაცვის მხარის განმარტებით, ეროვნულ დონეზე დავის ამოწურვის შემდგომ, შესაძლოა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც მიმართონ და მოითხოვონ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის დადგენა.

ამასთან, მიუხედავად შეწყალების აქტების გამოცემისა, თავად საქართველოს გენერალური პროკურატურაც აგრძელებს სამართალწარმოებას ზემდგომ ინსტანციაში, რაც, სავარაუდოდ, მიუთითებს საზოგადოებაში ამ პირთა დისკრედიტაციის მცდელობაზე.

²⁷ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3lmCaxY>

²⁸ გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი; ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ.: <https://bit.ly/2CkSOfd>

²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლი. <https://bit.ly/3zbd51K>

³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლი. <https://bit.ly/3xevg52>

უცხოური პრაქტიკის გათვალისწინებით, ამნისტია და შეწყალება მიიჩნევა პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმების ყველაზე გავრცელებულ შემთხვევებად. არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა შეიცავს ამგვარ რეგულირებას და სახელწოდებათა სახეცვლილების მიუხედავად, პრაქტიკულად ისინი ერთი და იმავე შინაარსის მატარებლები არიან.

ზოგადად, „ამნისტია“ არაპიროვნული ღონისძიებაა და ვრცელდება ყველა პირზე ან პირთა ჯგუფზე, ხოლო შეწყალება იდენტიფიცირებულ პირთა მიმართ ხორციელდება. გავრცელებული პრაქტიკით, შეწყალება ეხება სასჯელის შემცირებას და პოსტმსჯავრდებითი ღონისძიებაა, მაშინ როდესაც ამნისტია შეიძლება გამოიცეს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერ სტადიაზე³¹. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ასევე განასხვავებს ამნისტიას და შეწყალებას მათი გამომცემი სუბიექტების მიხედვით³².

ამნისტია მეტწილად განიხილება როგორც საგანგებო კანონმდებლობა და, შესაბამისად, მისი შინაარსის განსაზღვრისას მოქმედებს ნორმები, რომლებიც მოითხოვს საკითხის მაქსიმალურად ვიწრო და კონკრეტულ რეგულირებას³³. ამნისტიის გამოყენების მთავარი მიზეზია პოსტკონფლიქტურ პერიოდში სენსიტიური პოლიტიკური საჭიროება – „სამართლიანობის“ საკითხზე მაღლა საზოგადოების შერიგების საკითხი დადგეს³⁴. შესაბამისად, ამნისტია თავისი მნიშვნელობით სცდება მხოლოდ სამართლებრივი კატეგორიის ფარგლებს³⁵, კერძოდ, აღნიშნული აქტი თავისი ბუნებით უფრო პოლიტიკური კატეგორიის საკითხია³⁶.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლით განსაზღვრულია ამნისტია და იგი საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებად არის მიჩნეული. განსხვავებით მისგან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი შეწყალების უფლებამოსილება სათავეს იღებს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლიდან. ამნისტია ცხადდება საქართველოს პარლამენტის მიერ ინდივიდუალურად განუსაზღვრელ, არაიდენტიფიცირებულ პირთა მიმართ³⁷. ამისგან განსხვავებით, შეწყალება არის სახელობითი ღონისძიება და განსაზღვრულ პირთა მიმართ ხორციელდება. ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს

³¹ გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 10.

³² J. C. Baumgartner, M. H. Morris, Presidential Power Unbound: A Comparative Look at Presidential Pardon Power, Politics and Policy, V 29, №2, 2001, 212-14.

³³ გიორგი ბურჯანაძე, „ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები“, წიგნში: ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 11.

³⁴ Lisa J. Laplante, “Outlawing Amnesty: The Return of Criminal Justice in Transitional Justice Schemes.” Virginia Journal of International Law, Vol. 49, (2009); Marquette Law School Legal Studies Paper No. 08-26: 916.

³⁵ Louise Mallinder, Amnesty, Human Rights and Political Transitions: Bridging the Peace and Justice Divide (Studies in International Law). 1st ed. (London: Hart Publishing, 2008), 3.

³⁶ Louise Mallinder, Amnesty, Human Rights and Political Transitions: Bridging the Peace and Justice Divide (Studies in International Law). 1st ed. (London: Hart Publishing, 2008), 3.

³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 77(1).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან, ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით³⁸. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. ამნისტიის აქტითა და შეწყალებით მსჯავრდებულს შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა³⁹.

როგორც აღინიშნა, ამნისტიის კანონი, გადაუდებელი ინსტრუმენტია პოსტკონფლიქტურ პერიოდში, რაც მის გამოყენებას ხშირად აზრთა სხვადასხვაობის ობიექტად აქცევს⁴⁰. ასეთი დისკუსია ცნობილია „მშვიდობა სამართლიანობის წინააღმდეგ“ დებატის სახელით, რომელიც ამნისტიის კანონისა და სხვა პოსტკონფლიქტური წარმონაქმნების - სასამართლოებისა და სპეციალური კომისიების – გამოყენების ჭრილში განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პოლიტიკა, სამართალი და ეთიკა⁴¹. ამის გათვალისწინებით, ამნისტიის გამოყენების კონტექსტში ერთმანეთს უპირისპირდება მოსაზრებები მისი გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით⁴².

მიზანშეწონილობის საკითხზე მსჯელობისას კი აქტუალობას იძენს პოლიტიკური, მორალური და სამართლებრივი ასპექტები⁴³. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ინსტრუმენტი თავისი მნიშვნელობით პოსტკონფლიქტურ პერიოდში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ეფექტურ საშუალებად უნდა იქნეს მიჩნეული. ამნისტიის ძირითადი მიზანია ფართო საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა პოლიტიკური და სამართლებრივი კრიზისების განსამუხტად.

საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიანი ამნისტია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განხორციელდა⁴⁴. აღნიშნული კანონის შედეგად საპატიმრო დაწესებულებებიდან ათასობით ადამიანი, მათ შორის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები, გათავისუფლდა⁴⁵. აღნიშნულ კანონს უძღოდა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ, რომლითაც 190 ადამიანს პოლიტიკური პატიმრის სტატუსი

³⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 77(2).

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 77(3).

⁴⁰ Louise Mallinder, "Global Comparison of Amnesty Laws." (August 1, 2009). The Pursuit of International Criminal Justice: A World Study on Conflicts, Victimisation, and Post-Conflict Justice, M. Cherif Bassiouni, ed., Intersentia, Antwerp 2010: 1.

⁴¹ Louise Mallinder, "Global Comparison of Amnesty Laws." (August 1, 2009). The Pursuit of International Criminal Justice: A World Study on Conflicts, Victimisation, and Post-Conflict Justice, M. Cherif Bassiouni, ed., Intersentia, Antwerp 2010: 1.

⁴² Louise Mallinder, Amnesty, Human Rights and Political Transitions: Bridging the Peace and Justice Divide (Studies in International Law). 1st ed. (London: Hart Publishing, 2008), 3.

⁴³ Louise Mallinder, Amnesty, Human Rights and Political Transitions: Bridging the Peace and Justice Divide (Studies in International Law). 1st ed. (London: Hart Publishing, 2008), 3.

⁴⁴ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი (N202-რს, სსმ., ვებგვერდი, 12/01/2013). <https://bit.ly/3zfG6GN>

⁴⁵ გიგუაშვილი ა., ამნისტია, როგორც სამართლიანობისა და საზოგადოებრივი თანხმობის მექანიზმი, <http://bit.ly/3Y6WRiQ>, [06.02.2023];

მიენიჭა, ხოლო 25 ადამიანი პოლიტიკური ნიშნით დევნილად იქნა ცნობილი⁴⁶.

ცხადია, ორივე აქტის მნიშვნელობა სცდებოდა სამართლებრივ ჩარჩოებს და მოიცავდა პოლიტიკურ შემადგენელ ელემენტებს, ეფუძნებოდა რა არაერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ანგარიშსა და კრიტიკულ შეფასებას საქართველოში 2004-2012 წლებში არსებულ მძიმე ვითარებაზე ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების კუთხით, მათ შორის - პოლიტიკური ნიშნითაც.

ორივე სამართლებრივი აქტის საფუძვლად, გარდა ჰუმანიზმის პრინციპებისა, მითითებულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის N1900 (2012) რეზოლუცია და მათ მიერ დადგენილი კრიტერიუმები პოლიტიკური ნიშნით თავისუფლებაშეზღუდულ პირთა შესახებ. მიუხედავად ამისა, ამ აქტებს მძაფრი დისკუსია მოჰყვა როგორც შიდა პოლიტიკური წრეების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რაც, უპირველეს ყოვლისა, პროცესის დაჩქარებული ხასიათით იყო გამოწვეული, განსაკუთრებით - პოლიტიკური ნიშნით დევნილთა და დაპატიმრებულ პირთა მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილში⁴⁷. ამავე დროს კრიტიკისა და უკმაყოფილების მიზეზი გახდა ამნისტიის შედეგად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე ძალადობრივ დანაშაულებათა ჩამდენი პირების პატიმრობისგან გათავისუფლება ან სასჯელის არსებითად შემცირება⁴⁸.

შესაბამისად, სახელმწიფოს, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე და ცალკეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით, პერიოდულად, შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილებები (მათ შორის - საკანონმდებლო ცვლილებების გზით), რომლებიც მიმართულია მსჯავრდებულთა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სასჯელისაგან მათი გათავისუფლების დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნისაკენ.

19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული „ამნისტიის შესახებ“ კანონი და პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 19-20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, მმართველის პარტიის - „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებული „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი მიიღო. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად⁴⁹, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, სასჯელისგან და პირობითი მსჯავრისგან თავისუფლდება ყველა ის პირი, რომელთაც დანაშაული 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ჩაიდინა და ამნისტიის გავრცელებაზე უარი არ განუცხადებიათ. ის პირი

⁴⁶ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76 დადგენილება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“. <https://bit.ly/3zhxCrZ>

⁴⁷ „ვენეციის კომისიის დასკვნა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე“ (დასკვნა N728; 27 ივნისი, 2013 წელი), მე-2 თავი. - <https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD%282013%29013-e>

⁴⁸ გიგუაშვილი ა., ამნისტია, როგორც სამართლიანობისა და საზოგადოებრივი თანხმობის მექანიზმი, <http://bit.ly/3Y6WRjQ>, [06.02.2023];

⁴⁹ საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“. <https://bit.ly/3SGWxVo>

კი, ვის მიმართაც ამნისტია გავრცელდება, ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლება.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას ითვალისწინებდა 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების დოკუმენტი სახელწოდებით - „სამომავლო გზა საქართველოსთვის“ (A way ahead for Georgia), რომლის ერთ-ერთი საგანი პოლიტიკურ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირებაა. შესაბამისი პუნქტის თანახმად, „საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე და ამ შეთანხმების შესრულების მიზნით, ხელმოწერები ვალდებულებას იღებენ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, ამნისტიის საშუალებით და/ან ისეთი ზომების მიღებით, რომელიც ანალოგიურ შედეგს გამოიღებს, რეაგირება მოახდინონ პოლიტიკურ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საქმეზე. კერძოდ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, პარლამენტში წარმოდგენილ პარტიას უნდა მოეხდინა „ამნისტიის შესახებ“ კანონის ინიცირება, რომელიც 2019 წლის 19-21 ივნისის პროტესტებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას შეეხება“⁵⁰.

2021 წლის 27 აპრილს გაირკვა, რომ „ამნისტიის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით, მმართველ პარტიას - „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციის პარლამენტში შესული ნაწილისგან პრინციპულად განსხვავებული მიდგომა ჰქონდა. კერძოდ, ოპოზიციის განცხადებით, ამნისტიის შესახებ კანონში, სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლები უნდა ყოფილიყო ჩამოწერილი, რასაც ამნისტია შეეხებოდა, ხოლო „ქართული ოცნება“ აცხადებდა, რომ ამნისტია უნდა შეეხებოდა ყველა მუხლს, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 144¹-144³ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისა, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, წამებასა და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას გულისხმობს.

2019 წლის 20-21 ივნისის საპოლიციო ძალების მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის დაშლისას გამოყენებულმა არაპროპორციულმა ძალამ და მეთოდებმა აქციის მონაწილეთა უფლებების მასშტაბური დარღვევა გამოიწვია და აქციის მონაწილეთა დასჯის შთაბეჭდილება დატოვა. აქციის დასაშლელად გამოყენებული არაპროპორციული ძალის, დემონსტრანტთა დაკავებისა და შემდგომ პერიოდში სამართალდამცველთა მხრიდან გამოვლენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების, ჟურნალისტური საქმიანობის უკანონო ხელშეშლის და ამ საქმის გამოძიების არაეფექტიანობის გამო, შესაძლოა, საქმე გვექონდეს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცული წამების აკრძალვის, როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ნაწილების დარღვევასთან. ამ მუხლებით კი, საგამოძიებო უწყებების მხრიდან, 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, გამოძიება საერთოდ არ დაწყებულა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა სამართლებრივი ანალიზი - „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია“⁵¹. ცენტრი ხაზგასმით განმარტავდა, რომ დაუშვებელი იყო

⁵⁰ „A way ahead for Georgia“. Proposal by President of the European Council Charles Michel to the representatives of Georgian polit: <https://bit.ly/3yntUEd>

⁵¹ 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები - პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია, 2021. <https://bit.ly/3f3GT8M>

ამნისტიის/შეწყალების გამოყენება სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, რასაც აღგილი ჰქონდა 20-21 ივნისის აქციის დაშლის დროს.

ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, აკრძალულია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, დაზუსტებულია რიგი საკითხებისა, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოთა პოზიტიურ და ნეგატიურ პასუხისმგებლობებს. ერთ-ერთი ასეთი აკრძალვა გულისხმობს კონვენციის მესამე მუხლით დადგენილი ქმედების ჩადენისთვის მსჯავრდებულ პირთა მიმართ ამნისტიის გამოყენებას. ეს პირდაპირ აღინიშნა ევროპული სასამართლოს მიერ⁵². იგივე მიდგომა აქვს გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტსაც⁵³.

ანალოგიურ მიდგომას იზიარებენ ინტერამერიკული სასამართლო⁵⁴ და სხვა საერთაშორისო ტრიბუნალები, რომლებიც არ მიიჩნევენ ამნისტიას მართლმსაჯულებისთვის დაბრკოლებად⁵⁵. საერთაშორისო სამართლის პოზიცია არის იმგვარი, რომ არ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა სერიოზული სამართალდარღვევების დაუსჯელად დატოვება ამნისტიათა გამო, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ეს უფრო მეტი პრობლემის მომტანია და დაუსჯელობის განცდას უწყობს ხელს⁵⁶. ამავდროულად, იგი წაახალისებს „თვითამნისტირების“ შესაძლებლობას, როცა კონკრეტული რეჟიმები ახდენენ მათ მიერ ჩადენილ ქმედებათა გამო იურიდიული პასუხისმგებლობის გაუქმებას.

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, ამნისტიის გამოყენება იმ პირებთან მიმართებით, რომლებმაც არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დანაშაულები ჩაიდინეს (იმის მიუხედავად, ეროვნულ დონეზე გამოძიება სწორი კვალიფიკაციით მიმდინარეობს თუ არა), ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს ეწინააღმდეგება. ასეთი შედეგი არასათანადო მოპყრობის აკრძალვით შექმნილ დაცვის გარანტიებს ილუზორულად აქცევს. შესაბამისად, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში სახელმწიფოს წარმომადგენელ პასუხისმგებელ პირთა მიმართ ამნისტიის გამოყენება არის საერთაშორისო სამართლის დარღვევა.

თავად ის ფაქტი, გამოძიება რა კვალიფიკაციით მიმდინარეობს ეროვნულ დონეზე, არ არის რელევანტური კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლისას დაკავებულ

⁵² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 2 ნოემბრის განჩინება საქმეზე – იამანი თურქეთის წინააღმდეგ (Yaman v. Turkey), 55-ე პუნქტი.

⁵³ გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი კომენტარი №2, CAT/C/GC/2, მე-5 პუნქტი.

⁵⁴ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – ბარიოს ალტოსი პერუს წინააღმდეგ (Barrios Altos v. Peru), 41-ე პუნქტი; ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – ბულაციო არგენტინის წინააღმდეგ (Bulacio v. Argentina), 116-ე პუნქტი.

⁵⁵ 2 Inter alia, სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლოს 2004 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე – SCSL-2004-15-PT, SCSL-2004-16-PT; კამბოჯის სასამართლოების ექსტრაორდინარული პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის 002/19-09-2007I გადაწყვეტილება.

⁵⁶ D. L. Mallinder, *Amnesty, Human Rights and Political Transitions* (Hart Publishing, 2008), 3.

სამართალდამცველთა წინააღმდეგ გამოძიება არ წარიმართა შესაბამისი კვალიფიკაციით, კერძოდ - საქართველოს სსკ-ის 144(3) მუხლით, მათი ნაწილის მიერ ჩადენილი ქმედების შემადგენლობა უნდა შეფასდეს როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, რაც ევროპული სასამართლოს დადგენილი სავალდებულო სტანდარტით, გამორიცხავს ამ პირებისადმი ამნისტიის გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებულ პრინციპებსა და სამართლებრივ ტერმინებს ავტონომიური მნიშვნელობით განმარტავს. მათი განმარტება შეიძლება, არ ემთხვეოდეს იმ მნიშვნელობას, რომელიც ამ ტერმინებსა და პრინციპებს ენიჭებათ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით.

„ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონი“ უკვე შეეხო პირთა ფართო წრეს. საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ნაკრესის“ თანამშრომელს, ბექან ლორთქიფანიძეს ბრალი წარედგინა სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას, ორგანიზებას ან მასში მონაწილეობას. საწყის ეტაპზე, ბექან ლორთქიფანიძე ბრალს არ აღიარებდა, რადგანაც მისი დანაშაული საქმეში არ იკვეთებოდა⁵⁷. მიუხედავად ამისა, მან დამნაშავედ ცნო თავი და დათანხმდა ამნისტიას. გაჭიანურებული სასამართლო პროცესის სხდომებზე გამოცხადება, რაშიც იხარჯება ძვირფასი დრო და ასევე, სხვა ვალდებულებების შესრულება, რაც აქვს ბრალდებულს კანონის წინაშე, უდანაშაულო ადამიანსაც დისკომფორტს უქმნის. ამიტომ ადვილი გამოსავალია, დათანხმდეს შეთავაზებულ პირობებს და მიიღოს ამნისტიით გათვალისწინებული შეღავათი.

რაც შეეხება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების დროს ბრალდებულ სპეცრაზმელებს, ყველა მათგანმა თანხმობა განაცხადა, ესარგებლათ ამნისტიის უფლებით. აღსანიშნავია, რომ ლევან იმერლიშვილს, გიორგი ესიაშვილს და მინდია ამბარდნიშვილს ბრალი წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს - „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით“. გიორგი ესიაშვილმა თავიდანვე სრულად გაიზიარა წარდგენილი ბრალდება. მედიის ინფორმაციით, ბრალს ასევე აღიარებდა ლევან იმერლიშვილიც, ხოლო მინდია ამბარდნიშვილის ადვოკატი აცხადებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს უფლებამოსილება არ გადაუმეტებია და არც ამნისტია სჭირდებოდა, რადგან ამ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა⁵⁸. მიუხედავად ამ განცხადებისა, ამბარდნიშვილმაც საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, ელიარებინა დანაშაული და მიეღო ამნისტიით გათვალისწინებული შეღავათი.

კანონის გამოყენებაზე უარს აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ბესიკ თამლიანი, მას საქართველოს პროკურატურა სსკ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით

⁵⁷ 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია (სამართლებრივი ანალიზი), ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021, გვ.10, <https://bit.ly/3HJuBgi>, [08.02.2023];

⁵⁸ იქვე, გვ. 12;

გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება. აღსანიშნავია, რომ ბესიკ თამლიანთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანალოგიური ბრალდებით კიდევ სამი პირი – კახაბერ კუპრეიშვილი, ცოტნე სოსელია და ზურაბ ბუდალაშვილი დააკავა, მოგვიანებით კი პროკურატურამ მათ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა. რის გამოც ბესიკ თამლიანის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და დღემდე თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება.

2022 წლის 11 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ ბრალდებულის პოზიცია მოისმინა საქმის განხილვის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ბესიკ თამლიანმა, სასამართლოს განუცხადა, რომ ის არის უკანასკნელი პირი, რომელიც სახელმწიფო გავრილოვის დამის და რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის გამო დასაჯა და ახლა სთხოვენ, ბრალი აღიაროს, თითქოს, სახელმწიფო გადატრიალება სურდა. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ის ბრალს არ აღიარებს და უარს აცხადებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, რაზეც მოსამართლე ზვიად შარაძემ განუცხადა, რომ მას არ სჭირდება ბრალის აღიარება და მის მიერ გამოტანილ საბოლოო გადაწყვეტილებაში არსად იქნება ნახსენები, რომ ბესიკ თამლიანი აღიარებს ბრალს. მოხდება საქმის წარმოების შეწყვეტა, რაც არ ნიშნავს ბრალის აღიარებას. ამასთან დაკავშირებით, ბრალდებულმა თამლიანმა განაცხადა, რომ მას არ სურს საქმის დასრულების შემდეგ ხელისუფლებას გაუმარტივოს თავის მართლება იმ დანაშაულის გამო, რომელიც მშვიდობიან მომიტინგეთა მიმართ ჩაიდინა. ამის მაგალითად მოიყვანა, პარტია ქართული ოცნების თავმჯდომარის – ირაკლი კობახიძის განცხადება: „ამნისტია ნიშნავს იმას, რომ 2019 წლის 20 ივნისს, განხორციელდა ჯგუფური ძალადობა სამართალდამცავების წინააღმდეგ, რისი მიზანიც პარლამენტში შეჭრა იყო“.⁵⁹ მოსამართლემ ბრალდებულს მიმართა, რომ პოლიტიკოსების განცხადებებისთვის ყურადღება არ მიექცია და რომ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მსგავსი მინიშნება არ იქნებოდა⁶⁰.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, 2022 წლის სექტემბრის თვეში, მხოლოდ ერთი სასამართლო სხდომა გაიმართა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბრალდების მოწმეთა ხელახალი დაკითხვა. პროცესზე წარმოდგენილი იყო ექსპერტი, რომელმაც ამ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩაატარა ჰაბიტუსკოპიური ექსპერტიზა. ბრალდებული სასამართლო სხდომებზე საკუთარი ინტერესების დაცვას კვლავ თავად ახორციელებს და დასვა მხოლოდ ერთი კითხვა. ბრალდებული დაინტერესდა, საიდან იყო მოპოვებული ექსპერტისთვის მიწოდებული ვიდეოკადრები, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ მან ეს არ იცის. მას გადასცეს მხოლოდ დალუქული მყარი დისკი, ხოლო საიდან იყო მოპოვებული ვიდეომასალა, მას ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. პროკურორმა ბრალდებულს განუცხადა, რომ ეს კითხვა შეეძლო საქმის გამომძიებლისათვის დაესვა, რომელიც ასევე იყო ბრალდების მხარის დასაკითხ მოწმეთა სიაში. სხვა კითხვა მოწმისათვის მხარეებს არ დაუსვამთ⁶¹.

ბრალდებულმა სასამართლოს სთხოვა, რომ შემდეგი სხდომის ჩანიშვნისას

⁵⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლოს სხდომის მონიტორინგის ანგარიში. 11.08.2022.

⁶⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლოს სხდომის მონიტორინგის ანგარიში. 11.08.2022.

⁶¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლოს სხდომის მონიტორინგის ანგარიში. 12.09.2022.

მოსამართლეს გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ბრალდებულმა აიყვანა ადვოკატი, რომელიც უნდა გაცნობოდა საქმის მასალებს და ამისთვის დასჭირდებოდა დრო. აღნიშნულ საქმეზე სასამართლო სხდომები გრძელდება.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, შეწყალების ინიციატივები სხვადასხვა ქვეყნის მმართველებს არაერთხელ განუხორციელებიათ. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, ყურადსაღები სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე შეწყალების მასშტაბურობაა (2020-2021 წწ. - 3 სისხლის სამართლის საქმე), რაც ქვეყანაში, უკვე საყოველთაოდ აღიარებულ, პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლისსამართლებრივ დევნასა და შერჩევით მართლმსაჯულებას უკავშირდება. ეს კი კრიტიკის საგანი, მათ შორის საერთაშორისო არენაზე, ყოველდღიურად ხდება.

ასევე, შეწყალებული მსჯავრდებულები აგრძელებენ დავას ზემდგომ ინსტანციებში და სასამართლოსადმი მიმართვით ცდილობენ დარღვეული უფლებების აღდგენას. კერძოდ, საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების მიზნით, ზემდგომ ინსტანციებში განაჩენებს ასაჩივრებენ ირაკლი ოქრუაშვილი და გიორგი რურუა, რომელთა შეწყალების აქტი პრეზიდენტმა სალომე ზურბიშვილმა ე. წ. შარლ მიშელის დოკუმენტის შედეგად გამოსცა. მათ შესაძლოა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც მიმართონ, თუკი უზენაესი სასამართლოც ძალაში დატოვებს პირველი ინსტანციის გამამტყუნებელ განაჩენს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შეწყალების აქტების გამოცემის მიუხედავად, საქართველოს გენერალური პროკურატურაც მაინც აგრძელებს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ კონკრეტულ საქმეებზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოებას.

რაც შეეხება ამნისტიის გავრცელებას 2019 წლის 20-21 ივნისს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე (იმის მიუხედავად, გამოძიება რა კვალიფიკაციით მიმდინარეობდა), ხელისუფლების კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებით, საფრთხის ქვეშ დადგა არა მხოლოდ დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ საზოგადოების ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავი სისტემისადმი, ასევე, სახელმწიფოს ვალდებულების შესრულება, ებრძოლოს დაუსჯელობის განცდას, რომელიც დამნაშავეს შეიძლება გაუჩნდეს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო. შედეგად კი, სხვა სიკეთეთა შორის, ასევე, მნიშვნელოვანი ზიანი ადგება ადამიანების შეკრებისა თუ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის უფლებას.